ჩემპიონი - ქულების საბადო

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 19 ივლისი. მზიანი ამინდი. 33 გრადუსი. 40 000 მაყურებელი.

“დინამო” (თბილისი) - სკა (როსტოვი) 0:2 (0:0).

გოლები გაიტანეს: კუჩინსკასი (სკა) (57 და 60)

“დინამო”: ურუშაძე, ბ. სიჭინავა, ჭელიძე, რეხვიაშვილი, ცხოვრებოვი, გ. სიჭინავა, იამანიძე, დათუნაშვილი, მაისურაძე, მეტრეველი, მესხი.

სკა: ივანოვი, ჩერტკოვი, აფონინი, კაზაჩოკი, გეტმანოვი, შიკუნოვი, ბუროვი, კუჩინსკასი, კოპაევი, პონედელნიკი, მატვეევი.

მსაჯი მ. პინსკი, გვერდითი მსაჯები გ. ალექსეევი და ნ. სერგიენკო (ყველა ხარკოვი).

დუბლიორები - 2:1 როსტოველთა სასარგებლოდ. გოლები გაიტანეს: კალინკომ და ბუფალოვმა(სკა); გავაშელმა (“დინამო”).

მეოთხე დამარცხება! აქედან 3 - საკუთარ მინდორზე, თბილისში, სადაც ჩვენი გუნდი ადრეც, როცა იგი ჩემპიონი არ იყო, იშვიათად თუ კარგავდა ქულებს.

მდგომარეობა საგანგაშოა და თუ დროზე არ იქნა მიღებული სათანადო ზომები, თუ კოლექტივის თითოეული წევრი და ხელმძღვანელობა მთელი პასუხისმგებლობით არ ჩაუფიქრდა შექმნილ ვითარებას, თბილისის ‘‘დინამო’’, რომლის საუკეთესო მოთამაშეები სსრ კავშირის ნაკრების ძირითად ბირთვს წარმოადგენენ, აღმოჩნდება მძიმე კრიზისში და მისგან თავის დაღწევა არც ისე იოლი საქმე იქნება.

სიტყვამ მოიტანა და უნდა სრული პირდაპირობით ვთქვათ. რატომ ჰგონია ზოგიერთ ფეხბურთელს, რომ ნაკრებში თამაშს საჭიროა შესწირო მთელი ძალები, მაყურებელს და სპეციალისტთა ვიწრო წრეს აჩვენო მეტისმეტი ერთგულება, მშობლიურ გუნდში კი შეიძლება ითამაშო ისე, სასხვათაშორისოდ, ‘‘ცალი ფეხით’’.

განა შეიძლება შემთხვევითობას მიეწეროს თბილისის ‘‘დინამოს’’ გუშინდელი დამარცხება? იქმნება შთაბეჭდილება, რომ გუნდს არა ჰყავს ნამდვილი, საიმედო მეკარე. კოტრიკაძის შეცვლამ ურუშაძეთი ახალი გაშვებული გოლები შეგვმატა, მეტი არაფერი. დაცვაში შეცდომა შეცდომას მოსდევს, რაც ჩვენს მეტოქეებს საშუალებას აძლევს სრულიად უბრალო, ელემენტარული შეტევა გადაზარდოს საგოლე მომენტში. ყოველგვარ კრიტიკაზე დაბლა დგას ნახევარმცველთა თამაში. გ. სიჭინავა და იამანიძე სავსებით ამოვარდნილი არიან სწორი სამოქმედო გეგმიდან და ბურთსაც და პარტნიორებსაც თავიანთი კაპრიზის მიხედვით ეპყრობიან. დაცვისათვის არც ერთი მათგანი არ იწუხებს თავს, შეტევაში კი მათი როლი ბურთის დაუსრულებელი ტარებით ამოიწურება. ასეთ თამაშს მხოლოდ ზიანი მოაქვს საკუთარი გუნდისათვის.

თავდასხმა? აქაც ‘‘ენათა სრული აღრევა’’ სუფევს. რა უნდა მოვთხოვოთ მაისურაძეს, როცა მეტრეველი და დათუნაშვილი მხოლოდ ქაოსს ქმნიდნენ შეტევაში და ერთმანეთს აწყდებოდნენ მეტოქის საჯარიმო მოედანზე. მომენტი ბურთის

გასატანად როსტოველთა კართან საკმარისზე მეტი იყო, ხოლო დინამოელთა ფორვარდები ვერაფრით ვერ პოულობდნენ რაციონალურ გზას მის ასაღებად.

ერთი სიტყვით, ჩვენს გუნდს ძალიან ბევრი ნაკლი აქვს და მათი გამოსწორება საჭიროა უახლოეს ხანშივე. რაც შეეხება როსტოველებს, მათ საუკეთესოდ შეასრულეს დასახული ამოცანა, ითამაშეს უბრალოდ, თავგამოდებით, ენერგიულად, კოლექტიურად, რამაც გუნდს დამსახურებული გამარჯვება მოუტანა. გოლების ავტორები იყვნენ კუჩინსკასი და კოპაევი.

რ. ქორიძე.

“ლელო”, 20 ივლისი, 1965 წ.

დამატებითი მონაცემები “სოვეტსკი სპორტიდან” 20.07.65